ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-120

2010 წლის 25 ნოემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მე-7 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი.

2. აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელით ერთ პირთან მოლაპარაკების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს გურამ მჟავანაძეს. შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს კერძო აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

3. აუდიტორული მომსახურების შესყიდვის მიზნით ერთ პირთან მოლაპარაკების პროცედურების განხორციელების შედეგების შესახებ ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნას უფლებამოსილი პირის (საკრებულოს თავმჯდომარე) წინაშე.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ.ჯინჭარაძე).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**